პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 198 (9609) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**ღირსეული** მამულიშვილების სახელთა უკვდავსაყოფად ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაულები. ერთი ასეთი ზეიმი — „ზაზაობა“ ამ დღეებში მოეწყო ქარელში. იგი მიეძღვნა XV საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, ეროვნული დამოუკიდებლობა-ერთიანობისათვის მებრძოლის და მეცნიერის, სამედიცინო წიგნის „სამკურნალო წიგნი-კარაბადინის“ ავტორის ზაზა ფანასკერტელის ხსოვნას.

ზეიმი დაამშვენა სპორტულმა ღონისძიებებმა. გაიმართა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევაში, ჭადრაკში.

სურათზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ქართულ ჭიდაობაში ერთ-ერთი შეხვედრის მომენტია ასახული.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

# ვახტანგ იაგორაშვილი სამი სახეობის შემდეგაც ლიდერია

**დასავლეთი ბერლინი.** თანამედროვე ხუთჭიდელთა ევროპის ჩემპიონატის მესამე დღე სროლას დაეთმო. ყურადღების ცენტრში იყო ტურნირის ლიდერთა — ვახტანგ იაგორაშვილის, ალექსი ხაპლანოვისა და უნგრელი იოზეფ დემეტერის გამოსვლები. იაგორაშვილი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა და მთავარ კონკურენტებზე უკეთ ისროდა. საბოლოოდ მან 978 ქულა მოაგროვა, 22 ქულით მეტი, ვიდრე ხაპლანოვმა (956) და 66 ქულით მეტი ვიდრე დემეტერმა (912).

თბილისელმა ხუთჭიდელმა თავისი პოზიცია კიდევ უფრო განამტკიცა. სამი სახეობის შემდეგ მას 3298 ქულა აქვს და [illegible] 96 ქულით უსწრებს (3202). უნგრელი დემეტერი 8194 ქულით [illegible] ადგილზეა.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდურ შეჯიბრებაშიც დამაჯერებლად ლიდერობს, ახლა მას 9511 ქულა აქვს. უძლიერესთა ექვსეული ახლა ასე გამოიყურება: მეორე ადგილზეა გფრ — 9.053 ქულა, მესამეზე — უნგრეთი — 9.002, მეოთხეზე — ჩეხოსლოვაკია — 8.953, მეხუთეზე — შვეცია — 8806, მეექვსეზე იტალია — 8766.



# გათამაშდება მსოფლიო თასი

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი **თამაზ გიორგაძე** სევილიიდან ტელეფონით გვატყობინებს:

ამ დღეებში აქ გაიმართა დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციის სხდომა, რომელმაც განიხილა ჭადრაკში ვაჟთა შორის მსოფლიო თასის გათამაშების საკითხი. გადაწყდა, რომ თასის პირველი გათამაშება მოეწყობა 1988-1989 წლებში. გარკვეულია აგრეთვე ის ექვსი ქალაქი, სადაც სათასო შეხვედრები გაიმართება. აი, ისინიც: ბრიუსელი, ბილბაო, ბარსელონა, როტერდამი, რეიკიავიკი და შვეციის პატარა ქალაქი სკელეპტა. განსაზღვრულია მსოფლიოს იმ 24 საუკეთესო მოჭადრაკეების ვინაობაც, რომლებიც თასისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან. ესენი არიან: ბელიავსკი, ელვესტი, კარპოვი, კასპაროვი, სოკოლოვი, ტალი, ვაჰანიანი, იუსუპოვი (ყველა — სსრ კავშირი), ანდერსონი (შვეცია), ხიარტარსონი, პეტურსონი (ორივე — ისლანდია), ჰიუბნერი (გფრ), კორჩნოი (შვეიცარია), ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ნანი, სპილმენი (ორივე — ინგლისი), პორტიში (უნგრეთი), სეირავანი (აშშ), ტიმანი (ჰოლანდია). ამ სიას კიდევ ნიკოლიჩისა და ნოგეირასს შორის გარჩეული მოჭადრაკე დაემატება.

## ელვა-ინფორმაცია

**სევილია, 14 ოქტომბერი (საკდესი).** გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩის მეორე პარტიაში, სადაც თეთრებით თამაშობს მსოფლიო ჩემპიონი, გათამაშდა ინგლისური დასაწყისის ვარიანტი. კასპაროვმა მეცხრე სვლაზე უკვე სხვა გაგრძელება აირჩია, რაზედაც ექს-ჩემპიონმა, ასევე პაიკის შეწირვით სიურპრიზი შესთავაზა მეტოქეს. მომდევნო სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა მთელი საათი იფიქრა.

„არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე“!

# იმაზე, რაც გაკეთდა

ცხაკაიის რაიონში წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით შევუდექით საკავშირო კონკურს-დათვალიერებისათვის მზადებას. რამდენიმე კოლექტივში უკვე გაშენდა ახალი მარტივი სპორტული მოედანი. ხორშას ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანაში საზეიმოდ გაიხსნა ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთისა და მინიფეხბურთის მოედნები, სოფელ ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მწყობრში ჩადგა ფეხბურთისა და ფრენბურთის ახალი სპორტული ბაზა.

დანარჩენ კოლექტივებში სპორტული მოედნების მოწყობა გრძელდება. დამატებით ცნობებს მოგაწვდით.

**მ. ადამია,**
პროფკავშირული ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ცხაკაიის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

## ფრენბურთი — მამაკაცები

**ოქტომბრის** ბოლოს ბელგრადში გაიმართება მსოფლიო თასის მეხუთე გათამაშება კრივში. საპატიო ჯილდოს მოსაპოვებლად იასპარეზებენ: სსრ კავშირის, გდრ-ის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, აფრიკის, აზიისა და ოკეანიის ნაკრები გუნდები.

**ლოს-ანჯელესი.** აქ დაიწყო ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი „აშშ-ის თასზე“. ევროპის ჩემპიონებმა, საბჭოთა ფრენბურთელებმა პირველ შეხვედრაში დამარცხება განიცადეს ტურნირის მასპინძლებთან — 0:3 (2:15, 9:15, 11:15) ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულებთან — ამერიკელებთან. ევროპის ვიცე-ჩემპიონმა საფრანგეთის ნაკრებმა დაამარცხა კანადელთა გუნდი — 3:0 (15:6, 15:9, 15:13).

# მომავალში — ყველა ერთად



გუშინ და გუშინწინ, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მძლეოსანთა შეჯიბრების დროს, დიქტორი გამარჯვებულთა შორის ჩვენთვის უცხო გვარებსაც აცხადებდა: გატნერი, ბუკოვეცი, ტურშიჩი... სტადიონზე საქართველოს პროფკავშირების მძლეოსნობის სკოლის ტრადიციული ღია პირველობა ტარდებოდა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ქალაქების წარმომადგენლებთან ერთად იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანის მძლეოსნებიც მონაწილეობდნენ.

დელეგაციების გაცვლა დაძმობილებულ ქალაქებს შორის ჩვეულ ამბად იქცა, მაგრამ ამ ორი ქალაქის სპორტსმენთა ვიზიტები აქამდე ცალმხრივ მოძრაობას ჰგავდა: იუგოსლაველები უფრო ნაკლებად სტუმრობდნენ ჩვენთან, ვიდრე ჩვენ მათთან. ახლა კი, ეტყობა, აქაც აღსდგა სტატუს-კვო, ყოველ შემთხვევაში სტუმართა დელეგაციის ხელმძღვანელი, ლიუბლიანის სპორტული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იანეს ჟვოკელი ოპტიმისტურადაა განწყობილი...



⊙ თბილისელი მძლეოსნები უკვე რამდენჯერმე იყვნენ თქვენს ქალაქში, საკმაოდ მაღალი რანგის ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად. თქვენი გუნდი კი პირველად ეწვია თბილისს. ალბათ უფრო მნიშვნელოვან შეჯიბრებას მოელოდით...

იხ. მე-2 გვ.

## 17 ოქტომბრიდან თბილისის იპოდრომზე



**ახლოვდება** დიდი საცხენოსნო დღესასწაული. შაბათიდან თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე დაიწყება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენების 30-ე საიუბილეო საკავშირო შეჯიბრება, რომელიც დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავს ეძღვნება.

მაყურებელი იხილავს ცხენოსნობის ეროვნულ თამაშებს, რომელსაც შეჯიბრებაზე უჩვენებენ საქართველოს, აზერბაიჯანის და შუა აზიის რესპუბლიკების წარმომადგენლები. გაიმართება აგრეთვე დოლი და რბოლა სხვადასხვა დისტანციაზე, მოეწყობა სტიპლ-ჩეისი, ვიხილავთ იშვიათ სანახაობას — ჩორთმავალი ცხენების დოლს.

სურათებზე: მხედრები ემზადებიან; აზერბაიჯანული თამაში „ჩაპაპ-იუნუ“; მარჯვნივ — ცოკეი ჩორთმავალი ცხენით დოლის სავარჯიშო ბილიკზე.

თამაზ ქიქავას ფოტოები.





ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი

# ქართველ სპორტსმენთა გალერეა ილიასეულ პრესაში

## 8. ქართველი მოჯირითეები

დ. ზუგდიდი, 6 ივნისი.

„ჩვენში ცხენის ჯირითობა ძლიერ გავრცელებულია და ამასთან ერთად ესრედ წოდებული „აფსუანი“. რაც უფრო დრო მიდის, იმდენად ცხადდება მათ შორის სხვა-და-სხვა მადნის ყაბარდულები. მაგის მეტი რა აქვთ საქმე? არცა ხვნენ, არცა სთესვენ, მუდამ ცხენზედა სხედან და, რასაკვირველია, რამდენად ადამიანი მუყაითად მოექცევა რომელსამე საქმეს, იმდენად ხელოვნდება და ვარჯიშდება ამ საქმეში.

ამ ჯერში ერთის თაოსნის განკარგულებას ემორჩილებიან, ყველა მაყურებლები იმის ირგვლივ დაამწკრივებენ ცხენოსნებს, ისე, რომ შუა გულში დარჩეს 40-50 საჟენამდე. შემდეგ გამოიწვევენ ერთი მეორეს, მაგრამ პირველად ისინი, რომელთა ცხენებსაც ტოლი არა ჰყავს.

განსაკუთრებით წელს გაიმართა ჩვენში შესანიშნავი ჯირითი. არა მგონია, რომ მაგნაირი თვალსაქციელო და საყურადღებო ცხენის თამაში სადმე გამართულიყოს. ჯერ ისე გარბოდნენ თითოეულად შუაგულში ყაბარდულით, მერე-კი ერთმანეთს შეეჯიბრნენ, მაგრამ იყო ისეთი ცხენებიც, რომლებიც ერთ საჟენზედ არა ნაკლებ იწევდნენ ზევით და მერე თავისუფლად ძირს ეშვებოდნენ. თუ გაწვრთნილი კაცი არ იყო, თავს ვერ დაიჭერდა და მიწას პირ-და-პირ ეცემოდა. მაგრამ რადგანაც ყველანი მცოდნენი და დახელოვნებულნი იყვნენ, ამ ნაირი ხიფათი იშვიათად მომხდარა.

თუმცა უთვალავი ხალხი იყო: მეგრელებიცა, თავადებიც, აზნაურებიცა, მტრიანიც და უმტროც, მაგრამ არაფერი უწესოება მომხდარა. მხოლოდ როცა ხალხი დაიშალა და წავიდ-წამოვიდა, გზაზედ ორმა ახალგაზრდა ყმაწვილმა ცხენი გააჭენა. ეს დაინახა თუ არა მესამემ, თ. დ. ჩიქვატიას შვილმა ნიკამ, გაექანა მათკენ მოთარჩიეს დასაჭერად. მიუახლოვდა თუ არა მოთარჩიეს ერთი საჟენის სიახლოვეზედ, პირველმა სწრაფად გამოაბრუნა ცხენი, რომელიც უცაბედად ეტაკა ჩიკვატიას ცხენს. ჩიკვატია ცხენიდან გადავარდა, ეცა კისრით ქვიან ადგილს და საფეთქელიდგან სისხლი წასკდა. პირველნი კი დარბოდნენ და ერთმანეთის ჭერაში იყვნენ გართულნი“.

„ივერია“, 1894, № 143.

„განუწყვეტელ ომებში გაწვრთნილმა კავკასიელმა დიდი ხნით მისცა თავის თამაშობას და გართობას ხასიათი საზოგადო თავის შექცევისა, ერთმანეთთან შეცილებისა. დიდის სიყვარულით ჰმართავდა ხოლმე ხალხი ამ თამაშობათ და ეს იმ დროს შეადგენდა მისთვის ფიზიკურ სკოლას. მაგრამ უდიდესმა მტარვალმა ჩვენის დროისა, — ყოვლის შთანმთქავ ცივილიზაციამ თავის შემმუსვრელი ხელი დაადგა ამ სახალხო დროის-გატარებათა და ეს თავის-შექცევანი ნეტარ-საგონებლად გაუხდია და ხდის...

...ტფილისში 15 თუ 20 წელია, რაც ეს თამაში გადავარდა, მაგრამ საქართველოს სოფლებში დღესაც შეხვდებით კარგ მოჯირითეს.

ეს თამაშობა უფრო სოფლის დღეობაში, ხატობაში და ქორწილებში იმართება ხოლმე...

ის (ჯირითობა, ა. ც.) თხოულობს ცოდნას ცხენოსნობისას, სიმარდეს, მოხერხებას, ღონეს და სიმამაცეს. ჯირითის სროლა, ჰაერში იმის დაჭერა, როგორ უნდა მოუბრუნო ჯირითი მოპირდაპირეს, როგორ უნდა გაექანო მისკენ არწივისებრ, — ყველა ეს თხოულობდა დიდს გამოცდილებას, რომ სხვა თვისებებზედ არა ვთქვათ...

...ტფილისში ჯირითი იმართებოდა ხოლმე: თელეთობას, სამხრეთ ქალაქის კარების გარედ ორთაჭალისაკენ და მთაწმინდობას ეხლანდელს გალავინის პროსპექტზე. სპეციალურ ალაგად კი ყველა ამ დროს გატარებათათვის ყაბაღი იყო დანიშნული“.

„დროება“, 1882, № 143

**შენიშვნა: ყაბალის, ანუ ყაბახის ბაღი თბილისში ადრე ეწოდებოდა დღევანდელ კომუნარების პარკს. აქ, მტკვრის პირას გაშლილ მინდორზე, ყაბახის სვეტი იყო დამაგრებული; ცხენოსნები სვეტზე შემოდებულ სამიზნეს (თასს, ვაშლს და ა. შ.) ტყორცნიდნენ ისარს. თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ მოჯირითენიც.**

**შეკრიბა ავთანდილ ციბაძემ.**

სოციალისტური შეჯიბრება. ფიზკულტურა და სპორტი

# მზად არიან, მაგრამ...

**სოციალისტური** შეჯიბრება სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოებში შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ერთ-ერთი ბერკეტია. საწარმო საწარმოს ეჯიბრება, უბანი — უბანს, საამქრო — საამქროს, მშრომელი — მშრომელს. შემუშავებული აქვთ სოციალისტური შეჯიბრების დებულებები, მაგრამ...

**ტყუილად ვეცადეთ ამ დებულებაში მოგვეძია თუნდაც ერთი პუნქტი, რომელიც ფიზკულტურასა და სპორტს შეეხებოდა.** არადა, ყველა საწარმო-ორგანიზაციას თავისი დიდი თუ პატარა სპორტული კოლექტივი ჰყავს. რატომ არ ცდილობენ მისი წევრები ფიზკულტურისა და სპორტისადმი სიყვარულსა და ერთგულებაშიც შეეჯიბრონ ერთმანეთს? ნუთუ ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეში მათ კიდევ დარწმუნება სჭირდებათ?

შეჯიბრება გაჯანსაღებაში, ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, სხეულის გაკაჟებაში, სიცოცხლის გახანგრძლივებაში... ნუთუ არსებობს სოცშეჯიბრისათვის ამაზე მნიშვნელოვანი „უბანი“?

როგორც ჩანს, სამხრეთ ოსეთის საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ასე არ ფიქრობენ. სწორედ ამიტომაა **ოლქის თითქმის ყველა საწარმო-დაწესებულებაში სოცშეჯიბრებებში ფიზკულტურა და სპორტი იგნორირებული.**

ჩვენს რესპუბლიკაში 1 ივლისიდან 1 ნოემბრამდე მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურს-დათვალიერება დევიზით: „არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი — სპორტული მოედნის გარეშე! რა გაკეთდა და რა კეთდება ოლქში ამ მოწოდების შესასრულებლად? ფაქტიურად არაფერი!

ოლქის ერთ-ერთი მძლავრი საწარმოა ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“. აქ ნახევარშტატიან განაკვეთზე მუშაობს ინსტრუქტორ-მეთოდისტი, ამავე საწარმოს ინჟინერ-კონსტრუქტორი რუსლან გაგლოევი, რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობს თანამშრომლებს სპორტი შეაყვაროს. ქარხნის სპორტული კოლექტივი საოლქო და საქალაქო სპარტაკიადებში მონაწილეობს, შიდასაქარხნო შეჯიბრებებს აწყობს, მაგრამ მშრომელებს სავარჯიშო პირობები არა აქვთ — ქარხანას უმარტივესი ტიპის სპორტული მოედანიც კი არ გააჩნია. სპორტის მოყვარულები შეჯიბრებებს ან უშუალოდ საამქროებსა და სამუშაო ოთახებში აწყობენ, ან თავისუფალ სპორტულ ბაზებს დაეძებენ.

**სპორტული ბაზა არც სამკერვალო ფაბრიკის 1000-კაციან კოლექტივს აქვს, არც ოლქის ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოს — ტრიკოტაჟის ფაბრიკას და არც სხვა საწარმოს, თუ არ ჩავთვლით „ემალხადენის“ ქარხნის კომბინირებულ ღია მოედანს.** არადა, ამ საწარმოებში ილვწიან სპორტისა და ფიზკულტურის მოყვარული მშრომელები, რომლებიც მზად არიან, ერთმანეთი სპორტულ სოცშეჯიბრშიც გამოიწვიონ.

**ლეილა ხუბელიანი,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**
ცხინვალი.

# მომავალში—ყველა ერთად

(დასასრული)

— შეჯიბრების რანგს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. მართალი გითხრათ, აქ ჩამოსვლამდე არც კი ვიცოდი, რა სახის ტურნირი იქნებოდა. ახალგაზრდა სპორტსმენებიც წამოვიყვანეთ, სპორტული კლუბების „ოლიმპიასა“ და „უაკ“-ის წევრები. ეს უკანასკნელი რკინიგზელთა სპორტული ორგანიზაციაა. ჩვენი ჩამოსვლის ძირითადი მიზანი თქვენს ქალაქთან სპორტული კონტაქტების გაღრმავება და თქვენში სპორტის განვითარების სტრუქტურის გაცნობაა.

**⊙ როგორ მიდის საქმე?**

— სპორტსმენთა გაცვლა ხერხდება. ჩვენთან რეგულარულად ჩამოდიან თქვენი ველოსიპედისტები, ტანმოვარჯიშეები და ზოგჯერ მძლეოსნებიც. ეს კარგია, მაგრამ ვფიქრობ, ურიგო არ იქნებოდა ცოდნა და გამოცდილებაც გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის. სიამოვნებით მოვიწვევდით თქვენს მწვრთნელებს. იქნებ ხელბურთის, კალათბურთის, სამთოსათხილამურო სპორტის ჩვენს სპეციალისტთა მუშაობის მეთოდიც საინტერესო იყოს თქვენთვის.

**⊙ თქვენ სპორტის ის სახეობები ჩამოთვალეთ, რომლებიც ლიუბლიანაშია პოპულარული.**

— რა თქმა უნდა. ახლახან ჩვენმა „ოლიმპიამ“ თვით სახელგანთქმული კლუბი „ციბონა“ დაამარცხა. ალბათ გაგიგიათ სამთომთოხილამურე როკ პეტროვიჩის სახელი. ქვეყნის ჩემპიონატში კარგად გამოდიან ჩვენი ხელბურთელებიც.აი, მძლეოსნობა კი ჩვენთან ვერ „დედოფლობს“. მგონი თქვენთანაც ასეა. თუმცა აქაც შეიძლება ერთმანეთს დავეხმაროთ, მაგალითად, ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა თბილისელ ოლეგ სტრიჟაკოვის გამარჯვებამ ზაგრებსა და ლიუბლიანაში გამართულ საერთაშორისო გარბენებში.

**⊙ ტრადიციული ტურნირების გარდა კიდევ სად შეიძლება შეხვდნენ ჩვენი სპორტსმენები ერთმანეთს?**

— ჩვენ ახლა დიდი საქმე წამოვიწყეთ; გვინდა ლიუბლიანაში ჩავატაროთ დაძმობილებული ქალაქების თამაშები, რომლის პროგრამაში სპორტის რამდენიმე სახეობა იქნება. ვფიქრობ, ამის შესაძლებლობა გვაქვს. ბალკანეთის თამაშების წინ ქალაქში აშენდა ახალი სტადიონი, სხვა ბაზებიც კარგად გამოიყურება. რასაკვირველია, ბევრი საორგანიზაციო საკითხი იქნება გადასაწყვეტი, რადგან ეს იდეაა ჯერჯერობით, სხვა არაფერი. გვინდა მოვიწვიოთ თბილისის, პიზაროს, პარმის, ლევერკუზენის, ბისბადენის, ბრატისლავისა და სხვა ქალაქების სპორტული დელეგაციები, იმ ქალაქებისა, რომლებთანაც ლიუბლიანას მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებული. იმედი გვაქვს, მომავალ წელს თავს დავადგამთ ამ საქმეს.





...პროფსაბჭოს სკოლის პირველობაზე რვა იუგოსლაველი სპორტსმენი გამოვიდა. 100 მეტრზე თარჯრბენში კარგი შედეგით გაიმარჯვა ბრიგიტა ბუკოვეცმა —13,8, 400 მეტრზე რბენაში პირველი იყო კატარინა სტარე — 57,5, ზოლო 1500-მეტრიან დისტანციაზე — ალიონა მაჩეკი — 4.46,8. სიგრძეზე ხტომაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ჩუშა პარშიჩმა — 587 სმ. გრეგორ გატნერმა მოიგო 400 მ რბენა — 50,0, სპრინტში ალეშ კოლარმა გაიმარჯვა — 10,7.

მასპინძელთაგან აღსანიშნავია ვიქტორ პაშკულსკი, რომელმაც 73,96 მეტრზე ისროლა შუბი, ელვირა ურუსოვამ ბირთვი 16,10 მეტრზე ჰკრა.

**გიორგი პავლიაშვილი.**

**ს უ რ ა თ ზ ე: ასპარეზობის მომენტები.**

**ჯემალ კასრაძის ფოტოები.**

# ოცინდალე, ოცინდალე...

**ლამაზია** ოცინდალეს მთა. მას ამშვენებს XI საუკუნის ისტორიული ძეგლი — ოცინდალეს ეკლესია. ახლახან აქ მღვიმეები აღმოაჩინეს. მართალია, ტურისტული მარშრუტი ჯერ არ დაუმტკიცებიათ, მაგრამ ცნობისმოყვარენი უკვე მოდიან მათ დასათვალიერებლად.

ამას წინათ ჩხოროწყუს რაიონული გაზეთ „ნაპერწკლისა“ და კომკავშირის რაიონული კომიტეტის თაოსნობით ოცინდალეს მთაზე ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა მოეწყო. მოლაშქრეებმა ოცდაათ კილომეტრზე მეტი გაიარეს, დაათვალიერეს ოცინდალეს ეკლესია, შეხვდნენ სოფლის მკვიდრთ, რომლებიც სულ რამდენიმე კომლად ცხოვრობენ აქ; მოინახულეს მღვიმეების ჩასასვლელები, გაიარეს „წიფურიას ტაფობი“, ჩავიდნენ ხობისწყლის ხეობაში, ნახეს მდინარის ნაპირას არსებული მღვიმეები, ბოლოს დასასვენებლად შეჩერდნენ და სპორტული შეჯიბრებები გამართეს...

ამიერიდან რაიონის საშუალო და 8-წლიანი სკოლის მოსწავლეები ამ მარშრუტით მოაწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს.

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**
ჩხოროწყუ.

# „დინამოს“ რესპუბლიკურ პირველობაზე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური პირველობა ჭადრაკში. ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდა 32 მოჭადრაკე.

განსაკუთრებით საინტერესოდ ჩატარდა ჭაბუკთა შეჯიბრება, სადაც პირველი ადგილი დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა, თბილისელმა ალექსანდრე იოსელიანმა — 7,5 ქულა, მეორე იყო ზუგდიდელი ოსტატობის კანდიდატი გიზო ჭურღულია (7), მესამე — ოსტატობის კანდიდატი ალექსი ლაზარიშვილი (თბილისი) — 6,5 ქულა.

**„ლელოს“ კორ.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

### „დანგრევა ადვილია“

**ამ სათაურით „ლელოს“ წლევანდელ, 29 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილზე პასუხს იძლევა პარტიის შუახევის რაიკომი.**

**„რაიონული ცენტრის რთული რელიეფური პირობების გამო აჭარულ ახალგაზრდებს წლების განმავლობაში არ ჰქონდათ სპორტული მოედანი. მათი ინიციატივით და პარტიის შუახევის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის მხარდაჭერით, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით 1967 წელს დაიწყო და 1970 წელს დამთავრდა მდინარე აჭარის წყლის ნაპირის გასამაგრებელი სამუშაოები. კერძოდ: აშენდა 250 მეტრზე მეტი სიგრძისა და 2 მეტრი სიმაღლის ბეტონის კედელი, მდინარის სანაპირო გაიწმინდა ქვა-ღორღისგან, მოიზიდა მიწა და მოსწორდა ადგილი, მოეწყო მარტივი ტიპის საფეხბურთო მოედანი, სადაც ამჟამად ტარდება რაიონის პირველობა.**

**1978 წელს საფეხბურთო მოედნის გვერდით დაიწყო სპორტსკოლის მშენებლობა, ჩაიყარა საძირკველი, მაგრამ იმის გამო, რომ ზემდგომმა ორგანოებმა აღნიშნული მშენებლობა გეგმაში არ შეიტანეს, მშენებლობა შეჩერდა და ახლა მისი გაგრძელება ფაქტიურად შეუძლებელია.**

**რაც შეეხება საფეხბურთო მოედანზე პროფსასწავლებლის მშენებლობას, მშენებლობის დაწყება საფეხბურთო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 1988 წელს. შენობა უნდა აიგოს აქ, რადგან რაიონის ცენტრში სხვა შესაფერისი ადგილი არ მოიძებნება. თანაც, სწორედ ამ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიძლება პროფტექნიკური სასწავლებლის პროექტით გათვალისწინებული ნაგებობებისა და სხვა კომუნიკაციების აშენება. მშენებლობის დამთავრების შემდეგ რაიონის ახალგაზრდებს ექნებათ სპორტული კომპლექსი (პროექტით გათვალისწინებულია დახურული საცურაო აუზის, კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის მოედნების და სარბენი ბილიკების მოწყობა).**

**გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით საფეხბურთო მოედნისათვის ცენტრიდან ნახევარ კილომეტრზე გამოიყო ფართობი, სადაც წლეულს მოსავლის აღების შემდეგ მოეწყობა მოედანი“.**

**ალექსანდრე ჯიბლაძე,**
**საქართველოს კპ შუახევის რაიკომის მდივანი.**

## I ლიგა

**დასასრულს უახლოვდება I ლიგის კოლექტივების საკავშირო გათამაშება ფეხბურთში, 13 ოქტომბერს გაიმართა მორიგი, 39-ე ტურის შეხვედრები.**

საქართველოს ორივე გუნდი ამ დღეს სტუმრად გამოდიოდა. ბათუმის დინამოელებმა დონის როსტოვში ფრედ ითამაშეს ადგილობრივ „როსტსელმაშთან“ — 0:0, ასეთივე ანგარიშით დამთავრდა ქუთაისის ტორპედოელთა მატჩი სტავროპოლში ადგილობრივ „დინამოსთან“.

გათამაშების ფინიშზე წარუმატებლად გამოდის ლიგის ლიდერი ოდესის „ჩერნომორეცი“. ეტყობა, თავი იჩინა ფეხბურთელთა დაღლილობამ, ოდესელებმა 13 ოქტომბერს საკუთარ მინდორზე მარცხი იწვნიეს დონის როსტოვის არმიელთაგან — 1:2, ეს გუნდი კი ლიგის აუტსაიდერთა შორის იმყოფება.

უმაღლეს ლიგაში გადასვლის მეორე კანდიდატმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ შინ მიიღო კემეროვოს „კუზბასი“ და იოლად გაიმარჯვა — 3:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0, „დაუგავა“ (რიგა) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 4:2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „პამირი“ (დუშანბე) 3:2, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 2:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 0:0.

ლიგის გათამაშება ფინიშს უახლოვდება, მაგრამ უკვე დიდი ხანია, ნათლად გამოიკვეთა ორი ლიდერი, რომლებსაც ყველაზე უფრო დასაბუთებული პრეტენზიები აქვთ უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე. შეიძლება ითქვას, რომ სატურნირო „ნისლი“ ლიდერთა ჯგუფში გაიფანტა და არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ოდესის „ჩერნომორეცი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“ ხელიდან აღარ გაუშვებენ მთელი სეზონის მონაპოვარს. მართალია, აქ შეიძლება გავიხსენოთ შარშანდელი უცნაური პრეცედენტიც, როცა რიგის „დაუგავას“ მეტი თუ არა, ნაკლები გარანტია არ ჰქონდა დაბრუნებოდა უმაღლეს ლიგას, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა საჭირო იყო ძალების მაქსიმალური მობილიზება, რიგელმა ფეხბურთელებმა საოცარი უნებისყოფობა გამოიჩინეს და უმაღლესი ლიგის საგზურები დაუთმეს ლანჩხუთის „გურიასა“ და ცსკა-ს. „დაუგავა“ წლეულსაც ლიდერთა შორის იმყოფება, მაგრამ ეს მხოლოდ პრესტიჟული პოზიციაა გუნდისთვის, იგი, ალბათ, ვეღარ დაეწევა წინ წასულთ.

მაგრამ I ლიგაში მარტოოდენ უმაღლეს ეშელონში გადასვლის საკითხი არ წყდება, აქ უნდა გამოვლინდეს მცირე ოქროს მედლის მფლობელიც და თუ მხედველობაში მივიღებთ „ჩერნომორეცის“ ბოლოდროინდელ სპორტულ ფორმას, გასაკვირველი არ იქნება, თუ მას სერიოზულ კონკურენციას გაუწევს მოსკოვის „ლოკომოტივი“. ოდესელთა რიგებში (უფროსი მწვრთნელი ა. პოლოსინი) გამოდიან ნიჭიერი ფეხბურთელები ს. გრიშკო, ს. ზირჩენკო, ს. ქარკოვი, გ. პერეპადენკო, ი. სეკინაევი და სხვანი, ხოლო მოსკოვის ლოკომოტიველთა (უფროსი მწვრთნელი ი. სიომინი) შემადგენლობაში—ი. გავრილოვი, ს. ბაზულევი, ა. გოლოვნია, რ. ატაულინი, ა. დოზმოროვი, ს. გორლუკოვიჩი და სხვანი.

ერთი სიტყვით, ლიგის ლიდერთა საკითხი ასე თუ ისე გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ „ნისლი“ ჯერ კიდევ არ გაფანტულა სატურნირო ცხრილის ბოლოში, სადაც დაახლოებით 5 გუნდს უწევს თავგამოდებული ბრძოლა „არსებობისთვის“. საინტერესოა, რომ ამ გუნდებს შორის არიან ისინიც, ვინც სხვადასხვა წლებში უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა: ქუთაისის „ტორპედო“, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, ვორონეჟის „ფაკელი“, როსტოვის არმიელთა გუნდი, ვოლგოგრადის „როტორი“ და ორჯონიკიძის „სპარტაკი“. მდგომარეობა აქ ფრიად დაძაბულია და გარკვევით იმის თქმა, თუ ვინ დარჩება ბოლო 3 ადგილზე, რომლებმაც საგაისოდ უნდა დატოვონ ლიგა, ძალზე ძნელია. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო საქართველოს გუნდების ბედი გვაწუხებს. გათამაშების ფინიშზე მათ ძალები არ უნდა დაიშურონ ლიგაში პოზიციების გასამტკიცებლად. გთავაზობთ ჩვენი გუნდების კალენდარს დარჩენილ ტურებში:

**17 ოქტომბერი.** „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „დინამო“ (სტავროპოლი) — „დინამო“ (ბათუმი).

**24 ოქტომბერი.** „დინამო“ (ბათუმი) — „დაუგავა“ (რიგა), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „შინიკი“ (იაროსლავლი).

**27 ოქტომბერი.** „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დაუგავა“ (რიგა), „დინამო“ (ბათუმი) — „შინიკი“ (იაროსლავლი).

**31 ოქტომბერი.** ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (ბათუმი).

**3 ნოემბერი.** „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ტორპედო“ (ქუთაისი), ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „დინამო“ (ბათუმი).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 15 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ.“ | 38 | 22 | 12 | 4 | 56-22 | 56 |
| „ჩერნომ.“ | 37 | 22 | 11 | 4 | 63-27 | 55 |
| „დაუგავა“ | 37 | 18 | 12 | 7 | 60-31 | 48 |
| „ფახთაქ.“ | 38 | 16 | 10 | 12 | 44-39 | 42 |
| „პამირი“ | 38 | 17 | 7 | 14 | 51-43 | 41 |
| „კოლოსი“ | 38 | 16 | 8 | 14 | 56-55 | 40 |
| ასკ „კარ.“ | 37 | 15 | 10 | 12 | 52-38 | 40 |
| „კუზბასი“ | 38 | 13 | 14 | 11 | 37-33 | 38 |
| „მეტალურ.“ | 38 | 13 | 11 | 14 | 50-48 | 37 |
| „როსტს.“ | 37 | 12 | 13 | 12 | 44-48 | 36 |
| „გეოლოგი“ | 37 | 13 | 8 | 16 | 38-46 | 34 |
| „შინიკი“ | 37 | 13 | 8 | 16 | 24-37 | 34 |
| „ზარია“ | 37 | 11 | 14 | 12 | 35-50 | 34 |
| „კოტაიკი“ | 37 | 13 | 6 | 18 | 46-52 | 32 |
| ასკ რ. | 37 | 13 | 6 | 18 | 35-52 | 32 |
| „როტორი“ | 37 | 12 | 8 | 17 | 42-45 | 32 |
| „დინამო“ ბ. | 37 | 11 | 10 | 16 | 32-37 | 32 |
| „სპარტაკი“ | 37 | 11 | 10 | 16 | 33-40 | 32 |
| „დინ.“ სტ. | 37 | 10 | 13 | 14 | 40-50 | 32 |
| „ფაკელი“ | 37 | 9 | 12 | 16 | 28-35 | 30 |
| „კრ. სოვ.“ | 37 | 9 | 11 | 17 | 33-49 | 29 |
| „ტორპ.“ ქ. | 37 | 8 | 12 | 17 | 23-45 | 28 |



როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა თურქეთის სპორტის მინისტრი ქემალ ქამილოღლუმი. სტუმარი დიდი ინტერესით ეცნობა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებას და ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. სურათი, რომელსაც აქვე გთავაზობთ, გადაღებულია საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. ქემალ ქამილოღლუმი (შუაში) ამ ინსტიტუტის ანატომიის კათედრის მუშაობითაც დაინტერესდა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## გვთავაზობს „ბუდიმექსი“

ელექტროსადგურებისა და სასტუმროების, თეატრებისა და სპორტული კომპლექსების, ფერმებისა და მილსადენების დაპროექტება-მშენებლობა — ამ სამსახურს სთავაზობს უცხოელ შემკვეთებს პოლონეთის საგარეო-სავაჭრო საწარმო „ბუდიმექსი“. საბჭოთა კავშირთან ფირმის შემდგომი თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივებს განიხილავენ თბილისში გახსნილი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სიმპოზიუმის მონაწილეები. სიმპოზიუმის თემაა: „ბუდიმექსი“— საბჭოთა საწარმოთა სამშენებლო პარტნიორი“.

ფირმის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს სამშენებლო სამუშაოებზე, რომლებსაც საწარმო მსოფლიოს 23 ქვეყანაში ასრულებს. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი უდიდესი პარტნიორია „ბუდიმექსისა“, რომელმაც სსრ კავშირში აშენა საცხოვრებელი სახლები, ტურისტული კომპლექსები, განახორციელა არქიტექტურის მთელი რიგი ძეგლების რეკონსტრუქცია-რესტავრაცია. საქართველოში „ბუდიმექსი“ მონაწილეობს სამთო-სათხილამურო კურორტ გუდაურის სპორტული კომპლექსის მშენებლობაში, რომელშიც შედის 300-ადგილიანი სასტუმრო, ადმინისტრაციული შენობა, ბაგირგზები.

სიმპოზიუმზე განიხილავენ პოლონეთ—საქართველოს ერთობლივ საწარმოთა შექმნის შესაძლებლობებს.

სიმპოზიუმის გახსნის წინ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც „ბუდიმექსის“ წარმომადგენლებმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს (საქინფორმი).

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

### I ჯგუფი

**„ივერია“ (ხაშური) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: ოსაძე, ზვიადაძე („ივერია“), ნოზაძე („ქართლი“).

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 4:0. მსაჯი დ. გვაზავა (აბაშა).** გოლები: ვ. ჯიოევი, გ. ხუბეჯიშვილი-3 („სპარტაკი“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სულორი“ (ვანი) 1:0. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).** გოლი: ლაბაძე („მეტალურგი“).

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ზესტაფონელი ფეხბურთელი ა. ძიძიშვილი.

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: სვანაძე, ცნობილაძე, ფესტვენიძე („შადრევანი“), გაბისკირია-2 („ეგრისი“).

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:1. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: ტუღუში, როყვა („მერცხალი“), თ. გურჩუა („ამირანი“).

**„კახეთი“ (თელავი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: რაზმაძე („კახეთი“), გ. ფანჩულიძე („საპოვნელა“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თელაველი ა. გავარდაშვილი, ხოლო დროის განზრახ გაყვანისთვის — თერჯოლელი ა. მგელაძე.

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2. მსაჯი ე. ხოლაგავა (თბილისი).** გოლები: უგულავა („მადნეული“), ჩიმაკაძე, ბაქურაძე („კოლხეთი“).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 3:1. მსაჯი ლ. ჩიქოვანი (გაგრა).** გოლები: ქოროსანიძე („იმერეთი“), ბენდელიანი, სიჭინავა, ჯ. ახალაია („სამეგრელო“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) 3:2. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).** გოლები: ანთიძე, აფხაზავა, კვირტია („სქური“), ნეფარიძე, არველაძე („იმედი“-„დინამო“-2).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: მინდიაშვილი, ღვინიაშვილი („დურუჯი“), მებუკე (ფიზკ. ინსტიტუტი).

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დინამო“ (გაგრა) 2:0. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი).** გოლები: ჰუბაბრია, მურმანიძე („სალხინო“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გეგეჭკორელი მ. ხელაია. მსაჯთან კამათისთვის ჯერ გააფრთხილეს, ხოლო შემდეგ მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს გაგრელი ვ. იაკოვლევი.

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: იორამაშვილი („არმაზი“), ტიბუა („დინამო“).

### II ჯგუფი

**I ქვეჯგუფი.** „ბახტრიონი“ (ახმეტა) — უნივერსიტეტი (თბილისი) 3:1, „სამგორი“ (გარდაბანი) — „მეტალისტი“ (რუსთავი) 1:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ქიზიყი“ (სიღნაღი) 4:2, „მიონი“-35 (თბილისი) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 2:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) 1:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 5:3, „ფოსტამტი“ (თბილისი) — „სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) 1:1, „მშენებელი“ (რუსთავი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 0:2.

**II ქვეჯგუფი.** „ავტომობილისტი“ (გორი) — „გარსი“ (თეთრი წყარო) 2:2, „თრიალეთი“ (წალკა) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 2:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „მეავეჯე“ (ახალდაბა) 3:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „აბული“ (ახალქალაქი) 2:0, „მეფრინველე“ (კასპი) — „მარაბდა“ (კოდა) 2:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) 4:1, „ალგეთი“ (მარნეული)— „განთიადი“ (დმანისი) 4:0, „ზარზმა“ (ადიგენი) — „თორი“ (ბორჯომი) 2:4. ჯავის „ბაგიათის“ დამარცხება ჩაეთვალა მარნეულის „კოლმეურნესთან“.

**III ქვეჯგუფი.** „ხვამლი“ (ცაგერი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:4, „იბერია“ (ქარელი) — „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) 1:1, „ზანა“ (აბაშა) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 0:1, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) 2:2, ხდკ (სამტრედია) — „მეშაქრე“ (აგარა) 4:1.

**IV ქვეჯგუფი.** „განთიადი“ (გაგრა) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 1:0, „დვაბზუ“ (მახარაძე) — „ნარინჯი“ (გონიო) 2:1, „სუბტროპიკი“ (სოხუმი) — „დინამო“-2 (ბათუმი) 7:2, „მზიური“ (გალი) — „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) 4:2, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:1.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 15 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი“ | 36 | 24 | 6 | 6 | 66-32 | 54 |
| „მერცხ.“ | 36 | 22 | 10 | 4 | 56-25 | 54 |
| „კოლხეთი“ | 35 | 23 | 7 | 5 | 71-28 | 53 |
| „სამეგრ.“ | 36 | 19 | 11 | 6 | 59-28 | 49 |
| „სულორი“ | 35 | 16 | 10 | 9 | 46-38 | 42 |
| „ამირანი“ | 36 | 16 | 9 | 11 | 47-41 | 41 |
| „სქური“ | 34 | 17 | 6 | 11 | 68-46 | 40 |
| „სპარტაკი“ | 36 | 13 | 11 | 12 | 63-58 | 37 |
| „მეტალ.“ | 36 | 16 | 4 | 16 | 52-48 | 36 |
| „იმ.-დინ.“-2 | 31 | 14 | 7 | 10 | 59-46 | 35 |
| ფიზკ ინს. | 32 | 12 | 9 | 11 | 47-43 | 33 |
| „დინამო“ ზ. | 35 | 12 | 9 | 14 | 49-46 | 33 |
| „ეგრისი“ | 35 | 12 | 9 | 14 | 52-56 | 33 |
| „დინამო“ გ. | 35 | 11 | 11 | 13 | 39-50 | 33 |
| „სალხინო“ | 36 | 10 | 12 | 14 | 47-63 | 32 |
| „ივერია“ | 36 | 11 | 9 | 16 | 43-48 | 31 |
| „ქართლი“ | 34 | 12 | 6 | 16 | 42-46 | 30 |
| „მადნ.“ | 35 | 10 | 10 | 15 | 53-44 | 30 |
| „საპოვნ.“ | 36 | 10 | 9 | 17 | 43-60 | 29 |
| „დურუჯი“ | 36 | 9 | 11 | 16 | 34-46 | 29 |
| „იმერეთი“ | 35 | 11 | 6 | 18 | 49-74 | 28 |
| „კახეთი“ | 36 | 10 | 7 | 19 | 54-70 | 27 |
| „არმაზი“ | 34 | 8 | 11 | 15 | 38-54 | 27 |
| ახ. საფ. სკ. | 36 | 3 | 0 | 33 | 25-112 | 6 |

### პროფკავშირთა პირველობაზე

## კანდიდატები გამოვლინდნენ

**საქართველოს** თასის გათამაშებაში მონაწილეობისათვის პროფკავშირთა ნაკრები გუნდის კანდიდატები უნდა გამოევლინებინა თავისუფალ ჭიდაობაში რესპუბლიკის პროფსაბჭოს პირად პირველობას, რომელიც ამ დღეებში თბილისში პროფკავშირთა მძლეოსნობის მანეჟში გაიმართა. შეჯიბრებაში რესპუბლიკის 17 ქალაქისა და რაიონის, 1970-1972 წლებში დაბადებული 178 ფალავანი მონაწილეობდა. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:

**48 კგ.** კ. კვამილავა (სოხუმი), მ. კოკოევი (თბილისი), ა. გაპოიანი (გორი); **56 კგ.** ე. მზარეულაშვილი (გორის რ-ნი), გ. ჯელიძე (ხაშური), მ. ქარდავა (სოხუმი); **50 კგ.** ზ. ზოზიროვი (გორი), მ. ხატორი (გორის რ-ნი), მ. ლომსაძე (ხაშური); **54 კგ.** კ. მოდოსიანი (გორი), ი. ტულაშვილი (რუსთავი), ნ. შიხიაშვილი (თბილისი); **58 კგ.** კ. ლევიძე (ქუთაისი), გ. მანაშვილი (რუსთავი), ხ. გოგიჩაიშვილი (სოხუმი), **63 კგ.** დ. ცაცაშვილი (გორის რ-ნი), კ. კახნიაშვილი (თბილისი), მ. ჩხაიძე (მცხეთა); **68 კგ.** ბ. სამხარაძე (რუსთავი), დ. დოროელი, ზ. გობეჯიშვილი (ორივე — თბილისი); **74 კგ.** მ. ტოფაძე (ქუთაისი), გ. კოცოცაშვილი (მცხეთა), ზ. ზარგინავა (სოხუმი); **87 კგ.** გ. მაქარაშვილი (ქობულეთი), მ. ყოჩიაშვილი (ახმეტა), თ. ხუციშვილი (კასპი); **88 კგ.** რ. გზარიაშვილი (თბილისი), ბ. ლაბაძე (რუსთავი), მ. მახათაძე (ქუთაისი); **97 კგ.** თ. კურკუმული (თბილისი), გ. ქენქაძე (კასპი), გ. უბილავა (სოხუმი); **+ 115 კგ.** ა. კუპრაშვილი (ქუთაისი), მ. ფანიაშვილი (გორის რ-ნი), ზ. გადელია (სოხუმი).

ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა პროფკავშირთა ორი ნაკრები გუნდი.

აღსანიშნავია გორელ ფალავანთა წარმატება. სამწუხაროდ, მოწინავე პოზიციები დათმეს თბილისელებმა, ეს მაშინ, როცა დედაქალაქში სპორტსმენთა განკარგულებაშია საუკეთესო სპორტული ბაზები.

## ჩემპიონი და ორი პრიზიორი

**ახლახან** ბაქოში ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსწავლეთა შეჯიბრება ჭიდაობა ძიუდოში. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ნაკრები გუნდი, რომელიც სპორტის ოსტატმა გივი ქენქაძემ მოამზადა. არჩევანი დინამოელებზე შემთხვევით არ შეჩერებულა — ამ საზოგადოების წევრებმა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

83 კგ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა თბილისის 183-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა გოჩა ბუაჩიძემ. მან ხუთივე შეხვედრა დროზე ადრე დაამთავრა. 68 კგ წონაში მეორე ადგილი დაიკავა თბილისის 39-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ალექსი ხაჩიროვმა. თბილისის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლემ, მძიმეწონოსანმა დავით უზნაძემ მესამე ადგილი დაიკავა. დინამოელთა ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდა.

# ტრადიციების კვალდაკვალ

**ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტულ მეგობრობას ჯერ კიდევ ამ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ჩაეყარა საფუძველი. ტრადიცია გრძელდება და იგი თაობიდან თაობას გადაეცემა. სამი მოძმე რესპუბლიკის განათლების სამინისტროების შეთანხმებით ამიერიდან ყოველწლიურად ამიერკავკასიის მოსწავლეთა პირადგუნდური შეჯიბრებებიც გაიმართება სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ასეთ ასპარეზობას პირველად თბილისმა უმასპინძლა.**

„შრომითი რეზერვების“ სპორტულ კომპლექსში გაიმართა მოძმე რესპუბლიკების აკრობატთა შეჯიბრება. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს სპორტსმენებს არ გასჭირვებიათ გუნდური გამარჯვების მოპოვება, თუმცა ზოგიერთ ვარჯიშში სტუმრებმა აშკარად აჯობეს მასპინძლებს. გოგონათა ხტომებში საპრიზო ადგილების მძიებელთა შორის ვერც ერთი ჩვენი აკრობატი ვერ ვიხილეთ. სამაგიეროდ ბიჭებმა იყოჩაღეს — კვარცხლბეკის სამივე საფეხური დაიკავეს.

თბილისელმა სპორტსმენებმა მხოლოდ გოგონათა ჯგუფურ ასპარეზობაში დათმეს პირველი ადგილი და შვიდი ვარჯიშიდან ხუთში გამარჯვება მოიპოვეს.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი თამაზ ბუზიაშვილი:

— სამატჩო შეხვედრები აკრობატიკაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტსმენებს შორის ადრეც ხშირად გამართულა. ამჯერად გამართული შეჯიბრება კი იმით განსხვავდება წინამორბედებისაგან, რომ მისი ყველა მონაწილე მოსწავლეა— დიდი სპორტის ხვალინდელი დღე. ასეთი შეხვედრები მეზობელი რესპუბლიკების სპორტული მიღწევების შედარების საშუალებას მოგვცემს, რაც ხელს შეუწყობს მათი ოსტატობის შემდგომ ამაღლებას.

**ჯემალ კასრაძე.**

**213 კვარცხლბეკი**

**ხტომები. გოგონები.** ს. მანუკიანი (აზერბაიჯანი) — 45,23, ლ. მკრტჩიანი — 45,23, გ. ხალათიანი (ორივე — სომხეთი) — 44,39; **ბიჭები.** კ. ქათამაძე — 45,33, მ. პეტრიაშვილი — 43,76, ხ. ფარისაშვილი (სამივე — საქართველო) — 41,59. **შერეული.** კ. კუხალეიშვილი, ი. ოვოიანი (საქართველო) — 46,28, მ. ხაჩატრიანი, ა. გალეიანი (სომხეთი) — 43,24, ვ. ბაშიროვი, ი. ტიმოფეევა (აზერბაიჯანი) — 41,98. **წყვილები. გოგონები.** თ. ვარდიძე, თ. ბეროზაშვილი (საქართველო) — 46,28, ი. ჟუკოვინა, გ. კუკინა (აზერბაიჯანი) — 44,05, ა. მიკინიანი, ე. კირაკოსიანი (სომხეთი) — 40,96. **ბიჭები.** ა. ალოიანი, პ. კირაკოსიანი (სომხეთი) — 39,94, ა. მუსტაფაევი, ტ. აზიმოვი — 38,91, ზ. ნინუა, ზ. კვაჭაძე (საქართველო) — 38,05. **ჯგუფური ასპარეზობა. გოგონები.** ი. ღარიბიანი, მ. ჯღამაძე, ა. დანელიანი (სომხეთი) — 42,91, ე. ბერიძე, ფ. გასიშვილი, ი. მეტრეველი (საქართველო) — 42,69, ე. ტრეტიაკოვა, ს. მამედოვა, ო. გლინკა (აზერბაიჯანი)—-15,6. **ბიჭები.** ვ. ვართანოვი, ა. იანაკოევი, ს. პეტროვი, ი. თუთბერიძე — 45,11, რ. სომხიშვილი, თ. მღებრიშვილი, ა. საბაშვილი, რ. ბუზიაშვილი (ყველა — საქართველო) — 43,13, დ. იმატდინოვი, ვ. იბატულინი, ს. კაფაროვი, რ. აგაევი (აზერბაიჯანი) —38,77.



**ს უ რ ა თ ზ ე: წყვილთა შორის გამარჯვებული ირინა ოვოიანი და კახა კუხალეიშვილი.**

ავტორის ფოტო.

# ნახევარფინალის ფინ
## საქართველოს ტელევიზიის პრიზზე

**დასრულდა** მძლეოსნობაში საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრები, რომელშიც 31 გუნდი მონაწილეობდა (შეჯიბრებას თავი აარიდა თბილისის კიროვის რაიონის კოლექტივმა). 16 რაიონის სპორტსმენებმა მოიპოვეს შეჯიბრების ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება. სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველომ მათ უკვე მოუწყო კენჭისყრა. I ჯგუფში მოხვდნენ მახარაძის, ქუთაისის ლენინის, ქარელის, თბილისის 26 კომისრების, ქუთაისის საქარხნო რაიონებისა, აგრეთვე ფოთის, რუსთავისა და ცხინვალის გუნდები. II ჯგუფში — გარდაბნის, ცხაკაიის, ახალციხის, ქობულეთის, საჩხერის, სამტრედიის, ბორჯომის და თბილისის საბურთალოს რაიონების გუნდები.

პირველი ჯგუფი თბილისში დინამოს სტადიონზე 16 ოქტომბერს იასპარეზებს, მეორე — 31 ოქტომბერს. ფინალური შეჯიბრება 12 ნოემბერს გაიმართება. შეჯიბრებები დაიწყება საფეხბურთო მატჩამდე 2 საათით ადრე. გუნდების ხელმძღვანელებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ დადგენილი წესის მიხედვით. სპორტსმენებს თან უნდა ჰქონდეთ პასპორტი და საკლასიფიკაციო ბილეთი.

ეს, რაც შეეხება საქართველოს ტელევიზიის პრიზის გათამაშების ორგანიზაციულ მხარეს. ახლა უშუალოდ შეჯიბრებაზე ვთქვათ რამდენიმე სიტყვა.

მაინც რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ნახევარფინალში გამოსვლის უფლება თბილისის მხოლოდ ორმა რაიონმა მოიპოვა? ალბათ შეჯიბრებისადმი გულგრილი დამოკიდებულებით. ქუთაისიდან, მაგალითად, შეჯიბრებაში ორი გუნდი ჩაება და ორივემ შეძლო მომდევნო ეტაპზე გასვლა.

მეოთხედფინალში იასპარეზა 384-მა ნორჩმა სპორტსმენმა. მათგან პირველი თანრიგის ნორმატივი მხოლოდ ერთმა — გარდაბნელმა ლია მესტვირიშვილმა შეასრულა 60 და 100 მეტრზე რბენაში. მეორე თანრიგის შესატყვისი შედეგი აჩვენა 32 მძლეოსანმა (23 გოგონამ და 9 ჭაბუკმა), მესამე თანრიგი კი 93-მა მონაწილემ შეასრულა (46 გოგონა — და 47 ჭაბუკი). 31 უთანრიგოდ დარჩა.

თუ სახეობების მიხედვით ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ ყველაზე უკეთესად მოკლე მანძილზე მორბენლები გამოვიდნენ, განსაკუთრებით გოგონები. დაბალი შედეგი აჩვენეს გოგონებმა და ჭაბუკებმა 1000 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და ბირთვის კვრაში. მაგალითად, 1000-მ-ზე მორბენლებიდან ერთადერთმა გოგონამ შეასრულა მეორე თანრიგი, ჭაბუკებმა კი ესეც ვერ შეძლეს.

პირველი ეტაპის შეჯიბრებების შემდეგ იმედი გვქონდა, რომ შედეგები მეოთხედფინალში მაინც გაუმჯობესდებოდა, რაც არ უნდა იყოს, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს მოსამზადებლად მთელი შვიდი თვე ჰქონდათ, მაგრამ სპორტსმენთა ტექნიკური შედეგების ანალიზმა და დაკვირვებამ კვლავ გვიჩვენა, რომ ისინი ფიზიკურად და ტექნიკურადაც სუსტად არიან მომზადებული, უჭირთ ტერფსაბჯენების გამოყენება, სტარტის აღება.. როგორც ითქვა, ძალზე უსუსური იყო მონაწილეთა გამოსვლა სიგრძეზე ხტომაში, ბირთვის კვრაში...

იბადება კითხვა, ნუთუ არ შეიძლებოდა 7 თვის მანძილზე უფრო ნიჭიერი ბავშვები შეერჩიათ და ისინი სათანადოდ მოემზადებინათ? ამ ხნის მანძილზე ბევრი ხარვეზის გამოსწორება შეიძლებოდა, მაგრამ... თუ გავითვალისწინებთ იმას, რა ხშირად იცვლებიან გუნდის ხელმძღვანელები (ამ პოსტზე ხშირად ვინც შეხვდებათ, იმას ნიშნავენ) და სპორტსმენები, ნათელი გახდება, რა უგულისყუროდ და ნაჩქარევად კომპლექტდება გუნდები. ასეთი უპასუხისმგებლო ადამიანები უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებენ ყველას — მსაჯებს, მაყურებლებს, რომლებსაც აკვირვებთ და აღშფოთებთ მათი მოუმზადებლობა.

და მაინც, ვიმედოვნებთ, რომ ნახევარფინალებში უკეთეს სურათს ვიხილავთ.

**ვალერი ვაშაკიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი,**
**სპორტის საპატიო არბიტრი.**

# ევროპის ოლიმპიურ საბჭოზე

**სოფია** (საკდესი). ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის (ენოკ-ი) ახალ პრეზიდენტად აირჩიეს კურტ გელერი, რომელიც აქამდე ავსტრიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ხელმძღვანელობდა. პრეზიდენტის პოსტზე მან იტალიელი ფრანკო კარარო შეცვალა. ენოკ-ის მე-17 გენერალური ასამბლეის მუშაობაში 34 ქვეყნის 87 დელეგატი მონაწილეობდა.

კალგარის მოახლოებული ზამთრის ოლიმპიადისათვის მზადების მსვლელობით კმაყოფილება გამოთქვა თავის გამოსვლაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა. მან თქვა, რომ პრაქტიკულად ყველაფერი უკვე მზად არის, როდესაც დაესწრო უკანასკნელი ნაგებობის, დახურული სტადიონის გახსნას, სადაც მოციგურავეები იასპარეზებენ. შეიძლება ითქვას, რომ სპორტსმენებისა და ჟურნალისტების დაბინავების პრობლემები უკვე გადაწყვეტილია. არის მოლაპარაკება თამაშების ორგანიზატორებთან იმის თაობაზე, რომ შეჯიბრებების სატელევიზიო ჩვენებით მიღებული შემოსავლის ნაწილი განაწილდება ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნებს შორის მათ მიერ წარგზავნილ სპორტსმენთა რაოდენობის შესაბამისად. პრეზიდენტმა აღნიშნა ისიც, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მატერიალურ დახმარებას გაუწევს კალგარში ჩამოსული ქვეყნების დელეგაციებს. გარდა ამისა, ყურადღება გაამახვილა ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების საკითხზე და აღნიშნა, რომ ა. წ. 17 სექტემბერს მიწვევა გაეგზავნა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შემავალ 167 სახელმწიფოს. მათი პასუხები ზაფხულის ოლიმპიადაში მონაწილეობის თაობაზე მიიღება 1988 წლის 17 იანვრამდე. ზაფხულის ოლიმპიადის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ცნობილი გახდება ისიც, თუ სად გაიმართება 1994 წლის ზამთრის ოლიმპიადა. სოკ-ის პრეზიდენტმა გააკეთა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მზადდება ოლიმპიური ქარტიის ახალი რედაქცია, რომელიც ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს მერმისს, წლის დასაწყისში დაეგზავნებათ განსახილველად. ამ დოკუმენტის მიღება განზრახულია 1989 ან 1990 წელს ტოკიოს ოლიმპიურ კონგრესზე.

**დიდი** ბრიტანეთის სპორტის მესვეურთა განაცხადებით, 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ინგლისი 386 სპორტსმენს გაგზავნის, მათთან ერთად 177 ოფიციალურ და თანმხლებ პირს. ეს ათლეტთა სარეკორდო რაოდენობაა იმასთან შედარებით, რაც მანამდე დიდ ბრიტანეთს ოლიმპიურ თამაშებზე გაუგზავნია. 1984 წლის ლოს-ანჯელესის თამაშებზე ამ ქვეყნის 516-კაციან დელეგაციაში 362 სპორტსმენი იყო.

* * *

**საფრანგეთის** ქალაქ გრენობლში გაიმართა მსოფლიოს მე-17 პირველობა გორგოლაჭებით ციგურაობაში. ამჟამად „როლერ-სკეიტინგის“ ფედერაცია 52 ქვეყანას აერთიანებს. მისმა ვიცეპრეზიდენტმა კოლუმბიელმა ლუის მუნიოსმა განაცხადა, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობამ უკვე მიიღო ცნობა 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტისაგან იმის შესახებ, რომ თანახმად შეთანხმებისა, ბარსელონის თამაშებში, გორგოლაჭებიანი ციგურებით ჰოკეი შეტანილია როგორც სადემონსტრაციო სახეობა.



**„არსენალმა“ ნება დართო**

როგორც ფეხბურთის სპეციალისტები იუწყებიან, „არსენალის“ თავდამსხმელმა ჩარლი ნიკოლასმა ტრავმის შემდეგ ველარ აღიდგინა სპორტული ფორმა და ითხოვა ამ გუნდთან კონტრაქტის გაუქმება. ნიკოლასი უბრუნდება თავის მშობლიურ კლუბს გლაზგოს „სელტიკს“.

* * *

დიეგო მარადონა ემზადება ინგლისში გასამგზავრებლად იტალიის „ნაპოლისთან“ ერთად. ქალაქ მანჩესტერში გაიმართება მატჩი ლივერპულის „ევერტონსა“ და „ნაპოლის“ შორის.

ამ მატჩამდე გადაწყვეტილი იყო, ლიგის ჩემპიონი 29 ნოემბერს შეხვედროდა „გლაზგო რეინჯერსს“. მაგრამ ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ამ მატჩის გამართვაზე მოსალოდნელი ხულიგნური გამოხდომების შიშით.

**18 წლის შტეფან ბეკენბაუერი**

18 წლის შტეფან ბეკენბაუერი, გფრ-ის ნაკრების ხელმძღვანელის „კაიზერ ფრანცის“ უმცროსი შვილი, ამას წინათ მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელთა ახალგაზრდულ გუნდში ჩაირიცხა, იგი დიდი წარმატებითაც თამაშობს. ეს გუნდი გფრ-ის ე. წ. მთავარ სამოყვარულო ლიგაში გამოდის.

**ფალკაო აღარ ითამაშებს**

გამოჩენილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პაულო რობერტო ფალკაომ, რომელიც ჯერ „რომაში“ გამოდიოდა, შემდეგ კი „სან-პაულუს“ დაუბრუნდა, განაცხადა, რომ ამიერიდან აღარ ითამაშებს. მას სურს საქმოსანი გახდეს და ფეხსაცმლის ფაბრიკას ჩაუდგეს სათავეში. გარდა ამისა, იგი ტელეკომენტატორადაც აპირებს იმუშაოს.

# კალათბურთელთა საკლუბო ტურნირები

**კალათბურთელ** ვაჟთა ევროპის საკლუბო ტურნირებში ჩვენი გუნდები, როგორც ცნობილია, არ მონაწილეობენ. უკვე შედგა ახალი გათამაშების პირველი მატჩები, რომლებშიც უძლიერესი კლუბები, ტრადიციულად, არ გამოდიან (ასპარეზობაში ისინი მეორე ეტაპზე ჩაერთვებიან).

პირველ ეტაპზე წარმატება მოიპოვეს და მეორე წრეში გავიდნენ:

**ევროპის ჩემპიონთა თასზე:** „ზბროიოვკა“ (ჩეხოსლოვაკია), „პული“ (შვეიცარია), „მტე დოჟა“ (უნგრეთი), „სედერტელიე“ (შვეცია), „სატურნი“ (გფრ), „ბენფიკა“ (პორტუგალია), „ნაშუა დენ ბოსხი“ (ჰოლანდია).

**თასების მფლობელთა თასზე:** „პორტო“ (პორტუგალია), „ალვიკი“ (შვეცია), „ლევსკი სპარტაკი“ (ბულგარეთი), „ტვიკენჰემი“ (ინგლისი).

**კორაჩის თასზე:** „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), „რესინგი“ (საფრანგეთი), „ჰაპოელი“ (ისრაელი), „შარლერუა“ (ბელგია), „ბეშიქთაში“ (თურქეთი), „შარლოტენბურგი“ (დასავლეთ ბერლინი), „ანტიბი“ (საფრანგეთი), „კასტორსი“ (ბელგია), „ოსტრავა“ (ჩეხოსლოვაკია), „ირაკლისი“ (საბერძნეთი), „მონაკო“ (საფრანგეთი), „იუგოპლასტიკა“ (იუგოსლავია), „კოტკა“ (ფინეთი), „დივარესე“ (იტალია), „ელიტცური“ (ისრაელი), „მაკაბი“ (ჰაიფა, ისრაელი), „სლოვნაკტი“ (ჩეხოსლოვაკია).

ქალთა ტურნირების მეორე ეტაპზე ჩაებმებიან საბჭოთა გუნდებიც. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ნოვოსიბირსკის „დინამო“ ლახტში (ფინეთი) „სამპო ბასკეტს“ შეხვდება, რონკეტის თასის გათამაშებაში კიევის დინამოელთა პირველი მეტოქე უნგრეთის „პეკსი პეკსი“ იქნება, ლენინგრადის „სპარტაკისა“ კი — ასევე უნგრეთის გუნდი „ბუდაპეშტი“.

ვაჟებში ჩემპიონთა თასის მეორე ეტაპის პირველი მატჩები მილანის „ტრეისერმა“ უკვე ჩაატარა. მან ორჯერ მოუგო ბულგარეთის „ბალკან ბოტევგრადს“ (93:79 და 97:88) და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

## ეკრანზე და ეთერში...

**ცენტრალური ტელევიზია. 15 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სპორტი და პიროვნება (ძმები ზნამენსკები) — **18.30 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **21.15 (2).**

**16 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ნეფთჩი“ (ბაქო) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)— **19.00 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 15 ოქტომბერი.** საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე — **19.15,** სპორტული პროგრამა — **20.40.**

**16 ოქტომბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — **19.00.**

**საქართველოს რადიო. 16 ოქტომბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — **20.00.**

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნი — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08035